საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №28

ქ. ბათუმი 23 თებერვალი, 2018 წ.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-8 მუხლისა და ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების შესაბამისად ბსუ-ში ჩატარებული საპილოტე ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნის (22/12/2017) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა **დანართი 1**-ის შესაბამისად;
2. ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის პრინციპების რეალიზაციის მექანიზმების დახვეწისა და 2018-2019 სასწავლო წლიდან მათი ამოქმედების მიზნით შეიქმნას შემდეგი სამუშაო ჯგუფი:

ა) ანზორ ბერიძე - ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ბ) ჯემალ ანანიძე - ბსუ-ს კანცლერი;

გ) თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;

დ) ნათია წიკლაშვილი - ბსუ-ს რექტორის მოადგილე;

ე) მარინა ბაგრატია - ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

3. სამუშაო ჯგუფის წევრებს, თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად, დაევალოთ ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მექანიზმების მარეგულირებელი წესის პროექტების წარმოდგენა არაუგვიანეს 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე;
4. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და დარგობრივ დეპარტამენტებს.
5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.
დამტკიცებულია ბსუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 23 თებერვლის №28 დადგენილებით

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონების „უმაღლესი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის მთავარ პრინციპებია:

- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხი;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა;
- პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია;
- სასწავლო რესურსებისა და სერვისების მაღალი ხარისხი;
- სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია;
- პერიოდული და ეფექტური მონიტორინგი, შეფასება და რეაგირება.

აღნიშნული პრინციპების რეალიზაციის მექანიზმებად ბსუ მიიჩნევს:

- სასწავლო პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურებს;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურებს;
- ბსუ-ს პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და განვითარების პროცედურებს;
- სასწავლო რესურსებისა და სერვისების შეფასებისა და სრულყოფის პროცედურებს;
- სწავლის, სწავლებისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობ პროცედურებს;
- პერიოდული კვლევების წარმოებას და რეკომენდაციების შემუშავებას.

ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა გამოხატავს უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების ძირითად მიმართულებებს და წარმოადგენს ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის სახელმძღვანელოს.